ოქმი:**ო37. 37260282**

თარიღი:**28/01/2026**

ოქმი N 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2026 წელი, 28 იანვარი

ქ. ოზურგეთი

11:00-11:40 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ.კიკვაძე; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. არუშიძე, პ. კიღურაძე, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, მ. ჩხიკვიშვილი, ტ. ბარამიძე; საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, დ. ხურციძე.

საკრებულოს წევრები: კ. კვაჭაძე, ზ. სურგულაძე, ნ. ჭანიშვილი, თ. ქავთარია, ვლ. ხავთასი, ხ. ცერცვაძე, ნ. ურუშაძე, გ. კალანდაძე, ნ. ნადირაშვილი, გ. გაბისიანი, გ. მდინარაძე, მ. ცქვიტინიძე, ი. ჩიკაშუა, დ. ასათიანი,თ. ქინქლაძე, ი. დობორჯგინიძე, ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, ლ.მესხი, მ. ცქვიტიშვილი, დ. თოიძე, ც. ცინცაძე, გ. კილაძე, ე. წუწუნავა, ქ. კვაჭანტირაძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, ლ. კვაჭაძე, გ. სირაძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე. საკრებულოს 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა-40-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, შემდეგ გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 40 ხმით.

დღის წესრიგი

3.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. N26.05.38.169) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40- ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს პროექტს.

3.2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

გელა ჩავლეშვილი

მარიკა ჩხიკვიშვილი

ბექა თოიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40-ხმით

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარეებმა ბ. თოიძემ, გ. ჩავლეშვილმა და მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადეს, რომ კომისიებმა იმსჯელეს და მხარს უჭერენ პროექტს.

4.3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40- ხმით

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 20-თებერვლამდე.

5.4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით კიკვაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 40- ხმით

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ მოუწოდა საკრებულოს თანამდებობის პირებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების მომზადებაში.

5. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი